საქართველოს ეროვნული მუზეუმი

დამხმარე მასალა
პედაგოგებისთვის

წარწერები და გამოსახულებები შუა საუკუნეების საქართველოში

გაკვეთილი შუა საუკუნეების ხელოვნებასა და ისტორიაში

8 - 11 წლის ბავშვებისთვის

ავტორი	**ემა ლუზლი**
სერიის რედაქტორი	**მიხეილ წერეთელი**
მთარგმელი	**თამარ ჯაფარიძე**
ქართული ტექსტი დაამუშავეს:	**დარეჯან ძოწენიძემ, ნანა ლილუაშვილმა, ცისია კილაძემ**
რედაქტორი	**ნინო ნადარაია**
დიზაინერები	**ირაკლი ხუციშვილი, ნინო ბაქანიძე**

დამხმარე მასალა შეიქმნა და დაიბეჭდა ექსეტერის
უნივერსიტეტისა (University of Exeter) და ევროპული
კვლევების საბჭოს (European Research Council) ხელშეწყობით

შესავალი

IV-V საუკუნეები საქართველოს სახელმწიფოს განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი პერიოდია. ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუში V საუკუნით თარიღდება. ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა: ანბანის შექმნას IV-V საუკუნეებს უკავშირებენ, თუმცა შესაძლოა ის უფრო ადრეც ყოფილიყო შექმნილი. დამწერლობის განვითარებასთან ერთად ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ შეცვალა ადამიანთა რწმენა-წარმოდგენები. ამ ორმა მოვლენამ, რომელიც მჭიდრო ურთერთკავშირშია, ქვეყნის მომავალი განაპირობა.

ეს დამხმარე მასალა წარმოადგენს რჩევებს, თუ როგორ გავაცნოთ ბავშვებს შუა საუკუნეების ისტორია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში წარმოდგენილი შუა საუკუნეების გამოფენის მეშვეობით. ის ასევე დაგვეხმარება დავაფიქროთ მოსწავლეები თუ როგორ ყალიბდება ჩვენი სულიერი სამყარო გამოსახულებებისა და სიტყვების ენის მეშვეობით.

ამ გაკვეთილის მიზანია დავაფიქროთ ბავშვები, თუ რა ადგილი უჭირავს მათ ცხოვრებაში წერილობით ენას. ვესაუბროთ მათ ვიზუალური თხრობის კონცეფციაზე და დავანახოთ, თუ როგორ შეიძლება "წაიკითხონ" სურათები ძირითადი ქრისტიანული იკონოგრაფიის (შობა, ნათლობა, ჯვარცმა, და ა.შ) გათვალისწინებით.

საქართველო IV საუკუნის მეორე და V საუკუნის პირველ ნახევარში



ენა და იდენტობა

მეოთხე საუკუნეში საქართველოში ქრისტიანობა გავრცელდა. ქრისტიანობა იყო მწიგნობრული რელიგია და მშობლიურ ენაზე წიგნების თარგმნამ დიდი მნიშვნელობა შეიძინა. იმ დროს, როდესაც ხალხი პირველად ეცნობოდა ახალ რელიგიას, სასულიერო პირებმა გააცნობიერეს, რომ ქრისტიანულ მცნებებს უფრო ადვილად გაავრცელებდნენ, თუ ხალხს მშობლიურ ენაზე დაელაპარაკებოდნენ.

ეგრისელები (ბერძ. ლაზიკა) ჩანაწერებსა და წარწერებს ბერძნულად აკეთებდნენ, ხოლო ქართლელები (ბერძ. იბერია) – არამეულად (სემიტური ენა, რომელიც გამოიყენებოდა დღევანდელი სირიის, ისრაელის, ერაყისა და ირანის ტერიტორიებზე).

ნაცვლად ბერძნულისა და არამეულისა, რომლებიც უცხო იმპერიების ენები იყო, ახალმა ანბანმა ქართველურ ტომებს საკუთარ ენაზე წერა-კითხვის შესაძლებლობა მისცა. გარდა ამისა, ბერძნული და არამეული დამწერლობებით ვერ გამოითქმებოდა ქართული ენისთვის დამახასიათებელი ყველა ბგერა, ამიტომ არ გამოდგებოდა მშობლიურ ენაზე წმინდა წიგნების, ისტორიის და ლიტერატურის დასაწერად.

სადისკუსიო საკითხები:

- როგორ შეიძლება ადამიანმა დაიმახსოვროს რაიმე, თუკი მისი ჩაწერა არ შეუძლია?

ისაუბრეთ ისტორიებზე (ამბებზე), როგორც წარსულის არდავიწყების, დამახსოვრების საშუალებაზე. მითები და ლეგენდები წარმოიქმნა სწორედაც რომ ძველი ამბებიდან, ისინი წარსულს შეახსენებდა ადამიანს, სანამ დამწერლობა შეიქმნებოდა.

- დადებითი და უარყოფითი მხარეები:

ღირშესანიშნავი ისტორიები საშუალებას იძლეოდა, რომ წარსული ხალხს არ მიევიწყებინა, მაგრამ, ამავდროულად, თითქმის შეუძლებელი იყო, რომ ამ ამბებს შეენარჩუნებინათ ისტორიული სიზუსტე .

სავარჯიშო: გაფუჭებული ტელეფონი

ერთმა ბავშვმა გვერდზე მდგომ ბავშვს ჩასჩურჩულოს ყურში რაიმე წინადადება, შემდეგ მეორე ბავშვმა იგივე წინადადება ჩურჩულით გადასცეს სხვას, და ასე გაიმეორეთ მთელ ჯგუფში. რამდენად შეიცვალა პირვანდელი წინადადება? სწორედ ესაა პრობლემა – არ არსებობს საშუალება იმის უზრუნველსაყოფად, რომ თავდაპირველი ინფორმაცია მნიშვნელოვნად არ შეიცვალოს.

ქართული ანბანი

ყველაზე ძველი დათარიღებული ქართული წარწერა საქართველოში არ აღმოუჩენიათ. ორი ქართული წარწერა, რომლებიც დათარიღებულია ახალი წელთაღრიცხვის 430 წლით, 1952 წელს აღმოაჩინეს ბირ ელ ყუტში, იერუსალიმსა და ბეთლემს შორის, ისრაელში. წარწერები დადასტურებაა იმისა, რომ ქართველები ქვეყნის გაქრისტიანებიდან ასი წლის შემდეგ უკვე ცხოვრობდნენ წმინდა მიწაზე, ქართულენოვან მონასტრებში.

საქართველოში ნაპოვნი პირველი დათარიღებული წარწერა ახალი წელთაღრიცხვის 493 წლითაა დათარიღებული და ის ქვემო ქართლში, ბოლნისის სიონის ტაძრის საკურთხევლის სარკმლის თავზე იყო გამოსახული. დღეს ეს ქვაზე ამოკვეთილი წარწერა შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში ინახება. შესაძლოა, არსებობდეს უფრო ადრინდელი ქართული წარწერებიც, თუმცა ზემოთ ჩამოთვლილი წარწერები პირველია ჩვენამდე მოღწეულ დათარიღებულ ქართულ წარწერათა შორის.

ადვილი არაა იმის დადგენა, თუ ზუსტად როდის დაიწერა პირველი ქართული წიგნი, თუმცა ჩვენთვის ცნობილი საქართველოში დაწერილი პირველი წიგნი დედოფალ შუშანიკის ისტორიაა. ის მეხუთე საუკუნეში დაიწერა, ქართული ანბანის შექმნის შემდეგ მალევე.

ძველი ქართული ანბანი დღევანდელისგან განსხვავდებოდა, მას ასომთავრული ეწოდება და ის დროთა განმავლობაში შეიცვალა. თავდაპირველად, ამ ანბანში 38 ასო იყო, თუმცა დღეს მხოლოდ 33 ასოს ვიყენებთ, რაც მაინც ბევრად მეტია, ვიდრე ლათინური ანბანის 26 ასო.

ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობს ქართული ბგერები, რომლებსაც არ შეესატყვისება ლათინური ბგერები, მაგრამ, ამავდროულად, ზოგ ლათინურ ბგერასაც არ აქვს შესატყვისი ქართულში.

? შეიძლება გამოვიგონოთ ისეთი ენა, რომელსაც ყველა გაიგებს?

- დღეს ჩვენთვის სავალდებულოა სკოლაში სიარული და წერა-კითხვის სწავლა.
- რა ხდებოდა ამ მხრივ მეხუთე საუკუნეში?
- ვის ჰქონდა საშუალება ესწავლა წერა-კითხვა?
- ვის არ ჰქონდა ამის საშუალება?
- განიხილეთ ის ფაქტი, რომ წერა-კითხვის ცოდნა წარჩინებულებისა და საეკლესიო პირთა პრივილეგია იყო. განათლების მიღების საშუალება ძირითადად მონასტრებში მცხოვრებ სასულიერო პირებს ან იმ ადამიანებს ჰქონდათ, ვინც მდიდარ დიდებულებსა და მათს ოჯახებს ემსახურებოდნენ.
- მდიდარი მამაკაცი განათლებას იღებდა, ზოგჯერ მათი ქალიშვილებიც იღებდნენ განათლებას, რათა ლოცვებისა და რელიგიური წიგნების წაკითხვა შეძლებოდათ, ან სასახლის ანგარიშები და ხარჯები ეწარმოებინათ.
- როგორ იღებდა განათლებას საზოგადოების ის ნაწილი, რომელმაც წერა-კითხვა არ იცოდა?
- შესაძლებელია წერა-კითხვის ცოდნის გარეშე ამბების წაკითხვა?

პასუხი: მაშინდელმა ადამიანებმა იცოდნენ, თუ როგორ წაეკითხათ გამოსახულებები და სცენები! ქრისტიანული სიუჟეტები და გამოსახულებები სიმბოლოების ენით იწერებოდა და ისიც კი, ვინც წერა-კითხვა არ იცოდა, ახერხებდა სურათების მეშვეობით ამბების წაკითხვასა და გაგებას.

აქტივობები საექსპოზიციო დარბაზისთვის

1. დაიწყეთ ბიჭვინთის მოზაიკით და თხოვეთ ბავშვებს, აღწერონ, რას ხედავენ (ჩიტები, წყალი, ფიგურები ცენტრში გამოსახულ ლარნაკზე და ა.შ.), შემდეგ კი ჰკითხეთ, რა შინაარსს შეიძლება ასახავდეს ეს სცენა.

საგამოფენო ტექსტი გვამცნობს, რომ გამოსახულება „შადრევანს წყლისა ცხოველისას“ ასახავს და ნათლობის საიდუმლოს უკავშირდება, თუმცა შესაძლებელია სხვაგვარი ინტერპრეტაციაც. ჩიტები, რომლებიც შადრევანთან იკლავენ წყურვილს, შესაძლოა, მშვიდობის სიმბოლოებად იყოს გააზრებული, ან კიდევ სიმბოლურად სულიწმინდას განასახიერებდნენ. მტრედი სულიწმინდის სიმბოლოდ მიიჩნევა ქრისტიანულ იკონოგრაფიაში. ზოგჯერ კი უმანკო ქრისტიანის, მორწმუნის სულს განასახიერებს. გამოსახულებებს სიმბოლური მნიშვნელობა აქვთ. შუა საუკუნეების ადამიანი ამ მნიშვნელობებს იცნობდა და გამოსახულებებს სიმბოლოთა თანახმად კითხულობდა, ხოლო თანამედროვე ადამიანსთვის მათი წაკითხვა უფრო რთულია.

მოზაიკაზე გამოსახულ ადამიანთა ფიგურებს ხელები ზეაპყრობილი აქვთ ე.წ. ორანტას პოზაში. ორანტას პოზა და ჟესტიკულაცია ლოცვის მდგომარეობას ასახავს. თქვენც შეგიძლიათ აღმართოთ ჰაერში ხელები და გამოსახოთ მლოცველი ადამიანი.

2. მაშასადამე, თუ გავივარჯიშეთ ამ მოზაიკაზე დაკვირვებაში, მზად ვართ, სხვა გამოსახულებებსაც დავაკვირდეთ?
განვიხილოთ სტელები. VI საუკუნიდან VIII-IX საუკუნეებამდე გავრცელებული იყო სტელის, ანუ ქვის სვეტის გამოთლის ტრადიცია. ეს ვერტიკალურად მდგარი ქვისგან გამოთლილი სვეტებია, რომელზეც წარწერა ან რელიეფური გამოსახულებაა წარმოდგენილი.
ამ ქვასვეტებზე (სტელებზე) ხშირად იესო ქრისტეს ცხოვრების სცენებს გამოსახავდნენ.

რამდენი ბიბლიური ამბის (სიუჟეტის) პოვნა შეგიძლიათ გაამოფენაზე წარმოდგენილ ორ სტელაზე?
როცა დააკვირდებით მარცხნივ განთავსებულ სტელას, რომელზეც არაერთი ბიბლური სცენაა გამოსახული, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ წინასწარმეტყველი დანიელის სცენას ლომების ხაროში.

იკითხეთ, რატომ გამოიყურებიან ლომები ასე უცნაურად და განსხვავებულად? განიხილეთ, ხომ არ ჰგვანან ეს ცხოველები უფრო მგლებს, ვიდრე ლომებს?

პასუხი: ცხოველები პირობითადაა გამოსახული, რადგან მთავარი იყო ბიბლიური ამბის გადმოცემა და არა მათი მსგავსებითა და სიზუსტით ასახვა. ხელოვანებს ნანახი ჰქონდათ იკონოგრაფიული რედაქციები, რომელთა მიხდვითაც ქმნიდნენ გამოსახულებებს.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, რადგან შუა საუკუნეების ქართველ მხატვრებს არ ჰყავდათ ნანახი ლომები, ამიტომ მათ მხოლოდ თავისი წარმოსახვის მიხედვით გამოსახავდნენ.

3. გადაადგილდით შემდეგ ოთახში და დააკვირდით ქვის ფილებს - რელიეფებს, რომლებზეც გამოსახულ ფიგურას ხელში ეკლესიის მოდელი უჭირავს და მას სამეფო ტახტზე მჯდომ მაცხოვარს (იესოს) წარუდგენს.

? რა არის გამოსახული ამ სურათზე? ვინ არის ეს კაცი? რატომ უჭირავს მას ეკლესიის მოდელი?

ისაუბრეთ ქტიტორთა პორტრეტების შესახებ. მდიდარი, წარჩინებული ადამიანები, ხშირად, საკუთარი ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, გაიღებდნენ ღვთისათვის შესაწირს და საკუთარ ქონებას სწირავდნენ ეკლესიას. ამ რელიეფზე გამოსახულია მეფე აშოტ კურაპალატი, რომელიც თავად ტაძრის მაშენებელი ქტიტორია. მის მსგავსად, მეფეებს შეეძლოთ ღვთისთვის შეეწირათ მთლიანი ეკლესია ან მონასტერი. ვინც ნაკლებ ქონებას ფლობდა, შესაძლოა ეკლესიისთვის ხატი, ნაქარგობა ან სამღვდელოებისთვის განკუთვნილი სამოსი შეეწირათ.

? რატომ უნდოდათ ამ ადამიანებს, რომ რელიეფზე ან ფერწერულ ნიმუშზე (ფრესკაზე, ხატზე და ა.შ.) გამოსახულიყვნენ?

პასუხი: შესაძლებელია, ამით ისინი ხალხს თხოვდნენ, რომ არ მიევიწყებინათ მათი სახელები, ოჯახები და ღვაწლი, მათი სიკვდილის შემდეგ შეევედრებოდნენ ღმერთს და ლოცვებში მოეხსენიებინათ ისინი. შესაძლოა ზოგიერთი მათგანი თავსაც იწონებდა ამგვარი საქციელით ერის წინაშე, ან თავის ძალაუფლებას განამტკიცებდა.

4. გადაინაცვლეთ მარჯვნივ, უბისის ხატებისკენ და დადექით წმინდა გიორგის ხატის წინ. ვინმეს შეუძლია, ამ სურათზე ქტიტორი იპოვოს? (ის ქვედა, მარცხენა კუთხეშია.)

? რას წარმოგვიდგენს მთავარი გამოსახულების - წმინდა გიორგის ხატის ჩარჩოს გარშემო გამოსახული სურათები?

ეს პატარა სცენები წმინდა გიორგის ცხოვრების ამბავს მოგვითხრობს. როგორც ხედავთ, ყველა მათგანი სურათით გვიყვება ამბავს (გამოსახულებაა) და მის მოსაყოლად სიტყვებს არ იყენებს.

? კიდევ სად გინახავთ სურათებით მოთხრობილი ამბები?

განმარტეთ, რომ კომიქსების შემქმნელებმა სწორედ ამ ძველთაძველი მეთოდიდან ისწავლეს, თუ როგორ გადმოეცათ ამბავი სურათების მეშვეობით.

5. გადაინაცვლეთ ღვთისმშობლის დიდ ხატთან, რომელიც ამავე დარბაზის ბოლოშია. ამ შემთხვევაშიც განიხილეთ თხრობის (ამბის გადმოცემის) იგივე მეთოდი.

შესვენება: (10 წუთით)

სამუშაო რვეულებისა და ფანქრების დახმარებით ბავშვებმა ათი წუთის განმავლობაში უნდა შეასრულონ დავალება - ახსნან რომელია ცენტრალური ფიგურა და რა აკავშირებს მას ჩარჩოზე გამოსახულ სხვა სცენებთან. მსგავსი მეთოდით უნდა მოყვნენ ნებისმიერი დღის ისტორია ან ამბავი: მათ უნდა დახატონ ერთმანეთთან დაკავშირებული ამბები, ცენტრალური ნახატის ჩარჩოს გარშემო (იხ. სამუშაო ფურცელი). ათი წუთის შემდეგ თითოეულ ბავშვს შეუძლია, უჩვენოს დანარჩენებს თავისი ნამუშევარი და მოკლედ აუხსნას, თუ რაში მდგომარეობს მისი ამბის და ცენტრალური სურათის არსი.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ დღეს წმინდანთა ცხოვრების ბევრი სხვადასხვა ვარიანტი გაგვაჩნია (მაგალითად, წმ. გიორგის ცხოვრება), არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წიგნების ბეჭდვა მხოლოდ მე-15 საუკუნიდან დაიწყეს. ეს კი ნიშნავს, რომ იმ დროს, როცა ეს ხატები იწერებოდა, მხოლოდ ხელნაწერი წიგნები არსებობდა. თითოეული წიგნის ხელით გადაწერას მრავალი თვე, ხოლო ილუსტრაციების დართვას კიდევ უფრო დიდი დრო სჭირდებოდა. წიგნის გადაწერა მძიმე და ინტენსიურ შრომას საჭიროებდა, ამიტომ წიგნების უმეტესობას ბერები ქმნიდნენ მონასტრების სკრიპტორიუმებში (სპეციალური წიგნების გადასაწერი ადგილი). შუა საუკუნეებში მონასტრები იყო ის ერთადერთი ადგილი, სადაც წიგნების მნიშვნელოვანი კოლექციები ინახებოდა. გამონაკლისს მხოლოდ მდიდარი ოჯახები წარმოადგენდა. მაგალითად, სამეფო დინასტიები ან ერისთავები, რომლებსაც შესაძლოა ჰქონოდათ რამდენიმე წიგნი, ჩვეულებრივ, ლოცვანი ან ჰაგიოგრაფიული თხზულებები, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ იმ დროს 5 წიგნიც კი ძალიან შთამბეჭდავ ბიბლიოთეკად ითვლებოდა და უდიდესი სიმდიდრის აღმნიშვნელი იყო!
მონასტრებს მიღმა წერა-კითხვა ძალიან ცოტამ თუ იცოდა. ძირითადად ესენი იყვნენ განსწავლული ადამიანები მეფის კარზე, სადაც მათ ექიმებად ან მეფის მრჩევლებად ქირაობდნენ. იმ დროის შესატყვისად დიდგვაროვან, განათლებულ ქალებს სამეურნეო ხარჯთაღარიცხვის წარმოება ევალებოდათ. ქრისტიანობა მწიგნობრული რელიგია იყო. ამიტომ მდიდარ ქალებს წერა-კითხვას ასწავლიდნენ ლოცვებისა და წმინდა წერილის წასაკითხად. უმრავლესობისთვის კი ცოდნის მიღების წყაროს სურათები (გამოსახულებები) წარმოადგენდა, რომლებიც მათ რწმენის, იესო ქრისტეს, ღვთისმშობლის და ფრესკებსა თუ ხატებზე გამოსახული სხვა წმინდანების ცხოვრების შესახებ მოუთხრობდა. განათლება ეკლესიებში სასულიერო პირების ქადაგების საშუალებითაც ვრცელდებოდა.

ძვირფასი ნივთების მასალა და დამზადების პროცესი

როგორც საერო, ისევე სასულიერო პირების იკონოგრაფია ხშირად განაპირობებდა იმ მასალის შერჩევას, რომლითაც ხელნაწერები, ხატები და ფრესკები იქმნებოდა. ოქროს ფერს, როგორც ყველაზე ძვირფასს, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქრისტიანულ იკონოგრაფიაში. მას იყენებენ წმინდა სცენების ფონად და აგრეთვე წმინდანების სიწმინდის აღმნიშვნელი შარავანდედების გამოსახატავად. უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანულ ხელოვნებაში ყველა ფერს თავისი სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა და ამა თუ იმ ფერის გამოყენება შემთხვევითი არ იყო. მაგალითისათვის, საერო ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი ფერი იყო მეწამული, რომელიც ჯერ კიდევ რომის იმპერატორისა და მისი ოჯახის ატრიბუტად ითვლებოდა. ეს ტრადიცია გაგრძელდა ბიზანტიის იმპერატორებთანაც, რადგან „იმპერიული მეწამული“ ექსკლუზიური ძალაუფლების სიმბოლოდ ითვლებოდა. აღსანიშნავია, რომ ამ ფერის მისაღები მინარალის (ძოწის, პორფირის) შოვნა ძალიან რთული იყო, რადგან იგი მხოლოდ ეგვიპტის უდაბნოში, Mons Porphyrites-ზე

(მონ პროფირიტზე) მოიპოვებოდა. რთული იყო ამ ადგილამდე მისვლა და ქვის ტრანსპორტირება, ამიტომ მისი ღირებულება ძალიან იზრდებოდა.
ასევე ძვირფასი იყო სხვა მეწამული საღებავიც - „ტვიროსული მეწამული“, რომლის დასახელება უძველესი ქალაქი ტვიროსისგან მომდინარეობს (დღევანდელი სამხრეთ ლიბანი). არსებობს ცნობები, რომ ფინიკიელები მას ჯერ კიდევ ძვ. წ. 1570 წელს მოიპოვებდნენ ერთ-ერთი სახის ზღვის მოლუსკიდან. სწორედ ამ საღებავის ექსკლუზიურობის გამო ბიზანტიელი იმპერატორები მათი მაღალი სტატუსის აღსანიშნავად მეწამული სამოსითა და წითელი წაღებით გამოისახებოდნენ. ამ ტენდენციამ ქრისტიანულ იკონოგრაფიაშიც იჩინა თავი და ქრისტეც ზოგჯერ მეწამული სამოსით გამოისახებოდა როგორც პანტოკრატორი (ყოვლისმყრობელი), ანუ სამყაროს მბრძანებელი. მაგრამ ყველაზე ძვირად ღირებული პიგმენტი იყო ლურჯი, ლაჟვარდისფერი, რომელიც ავღანეთში მოპოვებული მინერალისაგან - ლაჟვარდისაგან (ლაპის ლაზური) მიიღებოდა. ეს ფერი ქრისტიანულ იკონოგრაფიაში იესო ქრისტეს შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი პირისთვის - ღვთისმშობლისთვის იყო განკუთვნილი. მისი პატივისცემისა (დიდების) და მნიშვნელობის ხაზგასასმელად ის ხშირად ლურჯ სამოსში გამოისახებოდა. საქართველო ბუნებრივი წიაღისეულით მდიდარია, აქაურ მხატვრებს ძალიან გაუმართლა, რადგან თავიანთი საქმიანობისთვის საჭირო ფერების უმეტესობა ბევრად ადვილად შეეძლოთ მიეღოთ, ვიდრე ამას უფრო დასავლეთით ან სამხრეთით მცხოვრები მხატვრები მოახერხებდნენ. აზურიტის - ”სპილენძის ლაჟვარდის” ადგილობრივი საბადოს არსებობა ქართველ მხატვრებს ლურჯი ფერის მიღების შესაძლებლობას აძლევდა. თუმცა ეს ადგილობრივი ლურჯი ფერი ისეთი ხარისხისა არ იყო, როგორიც ლაჟვარდისგან (ლაპის ლაზური) მიიღებოდა, რადგან იგი ზეთთან შერევისას მომწვანო, ხოლო კვერცხთან შერევისას მომწვანო-მონაცრისფრო შეფერილობას იღებდა.

1. დაუბრუნდით ცენტრალურ დარბაზს (სადაც აშოტ მეფის გამოსახულებაა). გაჩერდით ოქროს ფურცლოვან ხელნაწერთან (შუა ვიტრინა).

? როგორ გამოიყენებოდა ოქრო წიგნებში? როგორ ანიჭებდნენ მას ბზინვარებას?

ყურადღება მიაქციეთ თევზის ბუშტისაგან მიღებულ წებოს და ოქროთი დაფერილ ფურცლებს. ახსენით, როგორ ფშვნიდნენ ოქროს მისგან მელნის დასამზადებლად და როგორ გადაჰქონდათ შემდეგ ის წიგნის გვერდზე.
მიანიშნეთ გამოფენილ ეშვზე და განმარტეთ, როგორ აპრიალებდნენ ოქრომელნით დაწერილ ტექსტს, რათა იგი გლუვი და ბზინვარე გამხდარიყო.

2. გადაინაცვლეთ იმ ვიტრინასთან, სადაც ნაქარგობა და ცოცხალი ფერების აბრეშუმის ფთილებია გამოფენილი.
მღვდლებისა და ეპისკოპოსების შესამოსელი, ისევე როგორც ეკლესიის საკურთხევე-

ლი, შემკული იყო მშვენიერი, ფერადი ქსოვილებითა და ნაქარგობით. მაგრამ დროთა განმავლობაში ნაქარგობამ ფერი იცვალა.

რატომ არის ახლა ისინი ფერშეცვლილი, რატომ გადაჰკრავს ჩამქრალი ელფერი?

ახსენით, როგორ კარგავს ბრწყინვალებასა და სიმკვეთრეს ფერი სინათლის ზემოქმედების შედეგად. თავდაპირველად, ეს ქსოვილები ისეთივე კაშკაშა იყო, როგორიც გამოფენაზე წარმოდგენილი აბრეშუმის ნიმუშებია.

3. დააკვირდით საკურთხევლის კარის ფარდას (კრეტსაბმელს) და მიტრას (ეპისკოპოსის თავსაბურავს). ყურადღება მიაქციეთ ძვირფასი ქვების კაშკაშა ფერებს და აუხსენით ბავშვებს, რომ კრეტსაბმელიც, ალბათ, ადერე ისეთივე ფერადოვანი იქნებოდა, როგორც ვიტრინაში გამოფენილი აბრეშუმის ფთილები. დააფიქრეთ ბავშვები იმაზე, თუ რატომ ხუნდება ქსოვილი და არ ხუნდება ძვირფასი ქვები; როგორი ფერები გამოიყენებოდა ძვირფასი ტანსაცმლისა და მოხატულობისთვის...

4. გადაინაცვლეთ ხელნაწერების დარბაზში მარცხენა სვეტთან მდებარე ვიტრინასთან, რომელშიც მინერალებია მოთავსებული. ახსენით, რომ მინერალების დამუშავებით მიღებული ფერის ღირებულება იმის მიხედვით განისაზღვრებოდა, თუ რამდენად ძვირი და რთული ჯდებოდა მათი მოპოვება და დამზადება.

? რა იყო ოქროსგან მიღებული ფერის მერე ყველაზე ძვირფასი საწერ-საღებავი?

ეს იყო ლურჯი, რადგან მის დამზადებას ყველაზე ძვირადღირებული მინერალები სჭირდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ლურჯი საღებავი საქართველში მოპოვებული მინერალებისგანაც მზადდებოდა, ყველაზე ხარისხიანი ლურჯი მინერალის - ლაჟვარდისაგან მიიღებოდა. ის ავღანეთიდან შემოჰქონდათ!

? დააკვირდით ქვებს და დაფიქრდით, რომელი ფერები დამზადდებოდა მათგან?

დაუბრუნდით ღვთისმშობლის ხატს.

? რა ფერისაა ღვთისმსობლის შესამოსელი ?

? თქვენი აზრით, რატომ არის მისი მოსასხამი მეტწილად მეწამული და ქიტონი ლურჯი?

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ღვთისმშობელს იმიტომ ეცვა ლურჯი სამოსი, რომ ლურჯი ყველაზე ძვირფასი ფერი იყო და ამით ღვთისმშობლის მნიშვნელოვანებას უსვამდნენ ხაზს.

აქტივობები საექსპოზიციო დარბაზისთვის

მიეცით ბავშვებს 10–15 წუთი, რათა საგამოფენო დარბაზში პასუხები გასცენ სამუშაო ფურცლებზე (სამუშაო ფურცელი 1 ან 2) მოცემულ კითხვებს.

კითხვები და პასუხები:

უმცროსი ბავშვებისვის (8–9 წლის):
1. რატომ გამოიყურება ზოგიერთი ცხოველი, მაგალითად ლომი ან სპილო, უცნაურად ძველ ნახატებსა და ქანდაკებებზე?

პასუხი: ცხოველები პირობითადაა გამოსახული, რადგან მთავარი იყო ბიბლიური ამბის გადმოცემა და არა მათი მსგავსებითა და სიზუსტით ასახვა. ასევე, შესაძლოა, მხატვრებს ისინი ნანახი არც ჰყოლოდათ.

2. დახატე შენი თავი დედისთვის, მამისთვის, ძმისთვის ან დისთვის საჩუქრის გადაცემისას. შენი აზრით, როგორი საჩუქარი გაახარებდათ მათ? წარმოიდგინე, რომ შენც ისევე მუხლმოდრეკილი უძღვნი შენს საჩუქარს, როგორც აშოტ კურაპალატი წარუდგენს მაცხოვარს ტაძრის მოდელს რელიეფზე.

3. რატომ არის მოქარგული ტანსაცმელი, თავსაბურავები, და საეკლესიო ნაქარგობები ერთნაირი ტონალობის?

პასუხი: რადგან ქსოვილები დროთა განმავლობაში ფერს იცვლის, ხუნდება და თუ მათ მზის სხივებისგან არ დაიცავ, სიმკვეთრეს და სიკაშკაშეს დაკარგავს.

4. რისთვის სჭირდებოდათ თევზი ადამიანებს, რომლებიც ხელნაწერებს წერდნენ?
პასუხი: რათა თევზის საჰაერო ბუშტისგან დაემზადებინათ წებო, რომლითაც ოქროს ფურცელს წიგნის გვერდს მიამაგრებდნენ.

5. რატომ აგროვებდნენ შუა საუკუნეებში მცხოვრები ადამიანები სხვადასხვა ფერის მინერალებს?

პასუხი: რათა ისინი დაეფშვნათ და სხვადასხვა ფერის საღებავი დაემზადებინათ.

6. როგორ გადმოსცემდნენ მხატვრები ამბავს ხატის მეშვეობით?

პასუხი: მთავარი გამოსახულების ჩარჩოს გარშემო პატარა სურათებით, რომლებიც წმინდანის ცხოვრებას ასახავდა.

7. რა მოგეწონა გამოფენაზე ყველაზე მეტად და რატომ?

8. დახატე ის ნივთი რომელიც ყველაზე მეტად მოგეწონა გამოფენაზე!

უფროსი ბავშვებისთვის (10-11 წლის):

1. როგორ შეიძლება გამოსახულებას ჰქონდეს რამდენიმე განსხვავებული მნიშვნელობა? აირჩიე ერთი სიმბოლო, მაგალითად, თევზი, ჩიტი ან ყვავილი, და ჩამოწერე ყველაფერი, რასაც შეიძლება შენს მიერ შერჩეული სიმბოლო ნიშნავდეს.

2. რატომ იყო მწერლისთვის მნიშვნელოვანი ცხოველის ეშვი, როცა ის ხელნაწერის ფურცლებს ოქროთი ამკობდა?

პასუხი: რათა გაეპრიალებინა ოქრო და მისთვის ბზინვარება მიენიჭებინა.

3. როგორ შეგვიძლია ქსოვილების გახუნება ავიცილოთ თავიდან?

პასუხი: მოვარიდოთ ისინი მზის სინათლეს.

4. რატომ გვხვდება შუა საუკუნეების ბევრ ძეგლსა თუ ხატზე მუხლმოდრეკილი კაცებისა და ქალების ფიგურები?

პასუხი: ეს ადამიანები არიან ქტიტორები – მათ გაიღეს თანხა ტაძრების ასაგებად და ხატების დასაწერად, შემდგომ კი ისინი საჩუქრად გადასცეს ეკლესიას.

5. რატომ შედგება ქართული ანბანი 33 ასოსგან, ხოლო ლათინური – 26 ასოსგან?

პასუხი: ქართულში არის ბგერები, რომლებიც არ გვხვდება ლათინური ჯგუფის ენებში, რადგან ქართული ანბანი საგანგებოდ არის შექმნილი ქართველური ენების ჩასაწერად.

6. სად იქნა აღმოჩენილი პირველი ქართული წარწერა?

პასუხი: წმინდა მიწაზე/ისრაელში.

7. სად აღმოაჩინეს პირველი დათარიღებული წარწერა საქართველოში?

პასუხი: ბოლნისში (ბოლნისის სიონის ტაძარზე).

8. დახატე შენი საყვარელი ნივთი გამოფენიდან და რამდენიმე წინადადებით დაწერე, რატომ აირჩიე იგი.

სამუშაო ფურცელი 1

8-9 წლის ბავშვებისთვის

გამოიყენე მოცემული ცხრილი, რომ გვიამბო შენი დღევანდელი დღის შესახებ. გვიჩვენე როგორ გაიღვიძე, ისაუზმე და ა.შ. პატარა უჯრებში და ჩახატე შენი თავი და შენი საყვარელი ნივთი შუაში!

1. რატომ გამოიყურება ზოგიერთი ცხოველი, მაგალითად ლომი ან სპილო, უცნაურად ძველ ნახატებსა და ქანდაკებებზე?

2. დახატე შენი თავი დედისთვის, მამისთვის, ძმისთვის, ან დისთვის საჩუქრის გადაცემის პროცესში. შენი აზრით, როგორი საჩუქარი გაეხარდებოდათ მათ? წარმოიდგინე, რომ შენც ისევე ჩამუხლული გადასცემ შენს საჩუქარს, როგორც აშოტ კურაპალატი გადასცემს ტაძარს რელიეფზე.

3. რატომ არის მოქარგული სამოსი, თავსაბურავები, და საეკლესიო ნაქარგობები ერთნაირი ტონალობის?

4. რისთვის სჭირდებოდათ თევზი ადამიანებს, რომლებიც ხელნაწერებს წერდნენ?

5. რატომ აგროვებდნენ შუა საუკუნეებში მცხოვრები ადამიანები სხვადასხვა ფერის მინერალებს?

6. როგორ გადმოსცემდნენ მხატვრები ამბავს ხატის მეშვეობით?

7. რომელი ნივთი მოგეწონა გამოფენაზე ყველაზე მეტად და რატომ?

_____

_____

_____

_____

8. დახატე ის ნივთი, რომელიც ყველაზე მეტად მოგეწონა გამოფენაზე!

სამუშაო ფურცელი 2

10-11 წლის ბავშვებისთვის

გამოიყენე მოცემული სქემა და გვიამბე შენი ოჯახისთვის მნიშვნელოვანი ერთი დღის შესახებ. გამოსახე ამ დღის ისტორია პატარა უჯრებში და ჩახატე ყველაზე მნიშვნელოვანი ამბავი, რომელიც ამ დღეს მოხდა, შუაში!

1. როგორ შეიძლება გამოსახულებას ჰქონდეს რამდენიმე განსხვავებული მნიშვნელობა? აირჩიე ერთი სიმბოლო, მაგალითად თევზი, ჩიტი ან ყვავილი, და ჩამოწერე ყველაფერი, რასაც შეიძლება ეს სიმბოლო აღნიშნავდეს.

2. რატომ იყო მწერლისთვის მნიშვნელოვანი ცხოველის ეშვი, როცა ის ხელნაწერს ოქროთი ამკობდა?

3. როგორ შეგვიძლია ავიცილოთ თავიდან ქსოვილების გახუნება?

4. რატომ გვხვდება შუა საუკუნეების ბევრ ძეგლსა თუ ხატის კუთხეზე მუხლმოდრეკილი კაცებისა და ქალების ფიგურები?

5. რატომ შედგება ქართული ანბანი 33 ასოსგან, ხოლო ლათინური – 26 ასოსგან?

6. სად იქნა აღმოჩენილი პირველი ქართული წარწერა?

7. სად აღმოაჩინეს პირველი დათარიღებული წარწერა საქართველოში?

8. დახატე გამოფენიდან შერჩეული ნივთი, რომელიც ყველაზე მეტად მოგეწონა და 2–3 რამდენიმე წინადადებით ჩამოაყალიბე, რატომ აირჩიე იგი.

დამხმარე მასალა შეიქმნა და დაიბეჭდა ექსეტერის უნივერსიტეტისა
(University of Exeter) და ევროპული კვლევების საბჭოს
European Research Council) ხელშეწყობით

www.museum.ge
facebook/GNMuseum